Un épisode de la vie sociale et politique de la Géorgie des 8e et 9e siècles : l'exemple de l'église Saint-Georges d'Oubissa

ერთი სურათი VIII-IXსაუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ისტორიიდან (უბისას წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მაგალითზე)

Paata Bukhrashvili
პაატა ბუხრაშვილი

Université d'État Ilia, Géorgie
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

Abstract: In this paper, the author discusses issues relating to the social and political history of Georgia in the 8th and 9th centuries, through the analysis of the conditions surrounding the founding of St. George Church at Ubisa. Although the nature of this kingdom's ruling family is still disputed, most scholars agree that the kings of the Abkhazians were Georgian in culture and language. In order to eliminate the Byzantine religious influence, the dynasty subordinated the local dioceses to the Georgian Orthodox patriarchate of Mtskheta.The discussion will touch on monastic life in the kingdom of the Abkhazians and Tao-Klarjeti, which later leads to the ideological and political reintegration of these two Georgian political entities.

Keywords: social and political history of Georgia; Ubisa; church monastic life; local dioceses; ideological and political reintegration

თეზისები: სტატიაშიერთი სამონასტრო კომპლექსის, კერძოდ, უბისას წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის დაარსების წინაპირობების ანალიზის მაგალითზე, საუბარია VIII-IX საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე.

განხილულია აფხაზთა სამეფოში და ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოში მიმდინარე სამონასტრო ცხოვრების ზოგიერთი საკითხი, რაც მოგვიანო პერიოდში საფუძვლად დაედო ამ ორ ქართულ სამეფოს იდეოლოგიურ -პოლიტიკურ რეინტეგრაციას.

საკვანძო სიტყვები: სამონასტრო კომპლექსი, ორი ქართული სამეფო, სამონასტრო ცხოვრება, უბისა

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში აკად. ნიკო ბერძენიშვილი ფრთხილად მიუთითებდა, რომ XI-XII საუკუნეებში გაერთიანებული საქართველოს საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავდა სამხრეთის სავაჭრო მაგისტრალების დაუფლებას ან, ყოველ შემთხვევაში, მათზე სახელმწიფოებრივი კონტროლის დაწესებას. ამავე დროს, მან კარგად განმარტა ამ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალების მნიშვნელობა საქართველოს, ამიერკავკასიის და საერთოდ, წინა აზიის ეკონომიკურ ცხოვრებაში[1].

შედარებით მოგვიანებით, 1967 წელს, პროფ. ვალერიან გაბაშვილმა უფრო გარკვევით და საკმაო კატეგორიულობით ჩამოაყალიბა ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისი:

> საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, XI-XII საუკუნეებში, მიზნად ისახავდა ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფასაც. მის კავკასიურ და ახლო-აღმოსავლურ პოლიტიკის საერთო მიმართულებას აპირობებდა ეკონომიკური ფაქტორები, კერძოდ კი, მთავარ სავაჭრო მაგისტრალებზე გასვლისა და გაბატონების საჭიროება... პოლიტიკურად გაერთიანებული და ეკონომიკურად გაძლიერებული ქვეყანა ცდილობდა თავისი კონ-

[1]ნიკო ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები, VI*, თბილისი, გამ. მეცნიერება, 1973, გვ. 37.

> ტროლისათვის დაექვემდებარებინა აღმოსავლეთ და დასავლეთ ამიერკავკასიის სავაჭრო გზები[1].

გადავხედავთ რა კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერ ქრონოლოგიურ მონაკვეთს, ნათლად დავინახავთ, რომ, როგორც წესი, ამა თუ იმ სოციალური გაერთიანების მიერ, მოცემულ პერიოდში, პოლიტიკურ ასპარეზზე თავის დამკვიდრების ყოველი მცდელობა, გარკვეულწილად, საკუთარი ამბიციების გასამართლებლად, ყოველთვის გულისხმობდა ერთგვარი იდეური ფონის შემზადებასაც. იგი ცდილობდა, «სამართლიანობის» დროშით წარემართა მოსალოდნელი დაპირისპირება კონკურენტებთან.

გამომდინარე კონკრეტული ვითარებიდან, რასაც დიდწილად განაპირობებდა კიდეც ამა თუ იმ პეროდის სპეციფიკა, განსხვავებული იყო ამ ე.წ. «სამართლიანობის» გამოხატვის ფორმებიც; თუმცა თავისი არსით, ყოველი ასეთი «სამართლიანობა» ერთ მიზანს ემსახურებოდა - მოცემულ პერიოდში იდეოლოგიურად უზრუნველეყო მისი გამტარებლის პოლიტიკურ ასპარეზზე დამკვიდრება და ის ბრძოლა, რომელიც, როგორც წესი, თან ახლდა ხოლმე ამგვარ მცდელობებს.

როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს,

> VIII საუკუნის მიწურულსა და IX საუკუნის დასაწყისში, როცა არაბებმა ქართლში ერისმთავრობა მოსპეს, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მაღალ დონეზე იყო ასული. ერისმთავრობის ხანის ორასი წლის მანძილზე ქვეყანას უკვე გადაელახა ადრეფეოდალური ურთიერთობის პირველი («პოლიტიკური დაშლილობის») საფეხური. დაწყებული იყო ახალი ხანა, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების შემდგომი საფეხურის შესაფერის პოლიტიკურ ფორმას გულისხმობდა. ამის მაჩვენებელი იყო VIII საუკუნის მიწურულს ერთიმეორის მიყოლებით წარმოქმნილი დიდრონი სამეფო-სამთავროები (კახეთისა, ჰერეთისა, აფხაზეთისა, ტაო-კლარჯეთისა), რომლებიც მზად იყვნენ, დაეწყოთ ბრძოლა «ქართლსა ზედა», ე.ი. ბრძოლა უფრო მაღალი გაერთიანებისათვის.

---

[1]ვალერიან გაბაშვილი, «საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში», თბილისი, თსუ შრ. ტ. 121, 1967; გვ. 202.

> მათი ამ საქმეში წარმატება, რა თქმა უნდა, ქვეყნის შემდგომ წინსვლაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ, არაბთა მიერ ერისმთავრობის გაუქმება არ წარმოადგენდა ისეთ ღონისძიებას, რომელსაც ქვეყნისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენება შეეძლო[1].

როგორც იმ პერიოდის წყაროები და სხვა მონაცემები ნათლად მეტყველებენ, არაბებმა დასავლეთ საქართველოში ფეხი მტკიცედ ვერ მოიკიდეს. მხარე ხანგრძლივი მშვიდობიანობით სარგებლობდა და ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გზით სწრაფად მიდიოდა წინ. VIII საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული, ეგრის-აფხაზეთი, რომელიც იმ პერიოდისათვის მჭიდროდ დასახლებული და ღონიერი მხარე იყო, თანდათან წინაურდებოდა და მის წიაღში, დაშლილობის ნაცვლად, გაერთიანებისადმი მიდრეკილება უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ამავე დროს, ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა კულტურული და პოლიტიკური კავშირები აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას შორის. ისახებოდა რეალური პირობები ერთიანი ფეოდალური საქართველოს წარმოქმნისათვის. გამომდინარე აქედან, რაც უფრო წინ მიდიოდა საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება დასავლეთ საქართველოში, მით უფრო ძლიერდებოდა პოლიტიკური და კულტურული კავშირი აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მოძმე ტომთა შორის; მით უფრო ძნელად ასატანი ჩანდა იქ ბიზანტიელთა არამკითხე ბატონობა[2].

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კაცობრიობის ისტორიის ამა თუ იმ პერიოდში, ამა თუ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების (იქნებოდა ეს გვართა, თემთა, ტომთა თუ სახელმწიფოთა) იდეოლოგიური ერთობა, გამომდინარე მათი საზოგადოებრივ ასპარეზზე დამკვიდრებისათვის ბრძოლების სიმძაფრიდან, ყოველთვის ეფუძნებოდა გარკვეულ, ერთგვარ იდეურ «დვრიტას», ღირებულებათა ერთობას, ანუ «სამართლიანობას.»

---

[1]ნიკო ბერძენიშვილი, *op. cit.,*გვ. 9.
[2]*Ibid.,* გვ. 11.

აქვე, თამამად შეიძლება ითქვას ისიც, რომ რამდენადაც ეს კონკრეტული «სამართლიანობა» ესადაგებოდა საყოველთაო ჰუმანურ პრინციპებს (ღირებულებებს, რომლებიც მდგრადია დროსა და სივრცეში), იმდენად ხანგრძლივი იყო მისი მოქმედების არეც და ხარისხიც.

ეს დვრიტა, ანუ «სამართლიანობა», რომელსაც ემყარებოდა ესა თუ ის ერთობა, გარკვეული სახით, ნათლად აღიბეჭდებოდა ხოლმე სხვადასხვა სახისმეტყველებით ფორმებში. ეს სახისმეტყველებითი ფორმები კი, ფიზიკურად (მაგ. ორნამენტი, სკულპტურა, ნახატის სიუჟეტი და ა.შ.) ან აზრობრივად (წერილობითი სახით, ფოლკლორული ცეკვის ნახაზი, ფოლკლორული სიმღერის ხმათა შეწყობა და ა.შ.) გამოხატულებას ჰპოვებდნენ იმ ყოფითი ფორმების სახით, რომლებიც, პირდაპირ თუ ირიბად, ვლინდებოდნენ სხვადასხვა სახელოვნებო დარგებში ცალკეული ელემენტებისა თუ სიუჟეტთა ერთობის სახით.

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, ვითვალისწინებთ რა აღნიშნულ პერიოდში ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის მიმდინარე გამაერთიანებელ ტენდენციებს და ამის ფონზე დამკვიდრებულ ანტიბიზანტიურ განწყობას, სრულიად მისაღებად მიგვაჩნია აკად. გიორგი ჩუბინაშვილის ის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ქართულ იკონოგრაფიაში გავრცელებული თემა - წმინდა გიორგის მიერ გვირგვინოსანი ბიზანტიის იმპერატორის მოკვლა, გამოძახილი უნდა იყოს კონკრეტული პოლიტიკური ვითარებისა, რომელსაც საქართველოს ისტორიაში ადგილი ჰქონდა X-XI საუკუნეების მიჯნაზე[1], იმ პერიოდის ქართველი ოქრომჭედლები ასე გამოსახავდნენ ანტიბიზანტიურ განწყობას. ქართველთა მწვავე დაპირისპირება «ერთმორწმუნე» მტრულ ძალასთან, კონკრეტულ შემთხვევაში ბიზანტიასთან, ქართულ იკონოგრაფიაში სწორედაც ზემოთაღწერილი სიუჟეტის სახით აისახა. ჩვენში აღნიშნულ პე-

[1]Гиорги Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, Тбилиси, «Сабчота сакартвело», 1959, გვ. 370.

რიოდში წმ. გიორგის ხატებზე «უშჯულო მეფის», დიოკლეტიანეს სახით, ალეგორიულად გამოსახული უნდა იყოს ქართული სახელმწიფოებრიობისადმი დაპირისპირებული ბიზანტიის იმპერატორი, შესაძლოა, სახელდობრ, ბასილი II[1].

მოგვიანო ხანებში ამ ერთგვარმა «პოლიტიკურმა პლაკატმა» საკმაო გავრცელება ჰპოვა ქართულ იკონოგრაფიაში, სადაც «უშჯულო მეფე დიოკლეტიანემ»,ზოგადად, ბოროტი ძალის გამომსახველობითი სახე შეიძინა. შემდგომში კი, განსაკუთრებით პოლიტიკური არენიდან ბიზანტიის იმპერიის გაქრობის შემდეგ, ამ მოტივს ზოგადად ქრისტიანულ იკონოგრაფიაში გავრცელებული მოტივი - გველეშაპის მოკვლა ჩაენაცვლა[2].

ყველაზე საგულისხმოა ისიც, რომ ბიზანტიის იმპერატორის, როგორც იერარქიულად აღმატებული ქრისტიანი მმართველის, დამცრობილად და განადგურებულად ალეგორიული ასახვა წმინდა გიორგის ხატებზე მიიღო და გაითავისა ქართულმა ეკლესიამაც. ეს ყოველივე იმ პერიოდში ქართულ სახელმწიფოში საერთო სახელმწიფო პოლიტიკური ინტერესების თაობაზე «ერისა» და «ბერის» ერთიან დამოკიდებულებაზე უნდა მიგვანიშნებდეს; ანუ სახისმტყველებითი იკონოგრაფიული მოდელი, რომლის მიხედვითაც «ერთმორწმუნე» მტერი, ანუ ბიზანტიის იმპერატორი მთელი თავისი სახელისუფლებო ინსიგნიებით (გვირგვინი, ფარი, მახვილი, წაღები) მარცხდება და ნადგურდება წმინდა მხედრის მიერ, მიიღო ქართულმა ეკლესიამაც და ქართული სახელმწიფოს მთელმა მოსახლეობამ[3].

რა თქმა უნდა, ეს ერთობა «ერისა» და «ბერისა» ერთ დღეს არ ჩამოყალიბებულა და იგი საერთოეროვნული იდეოლოგიური ერთობიდან იღებს სათავეს, რომელიც საუკუნეთა სიღრმე-

---

[1]პაატა ბუხრაშვილი, «წმინდა გიორგი დიდების მხედარი», ჟურნალ *ამირანის* XXV ნომრის დამატება, თბილისი, 2014, გვ. 52.
[2]*Ibid.*
[3]*Ibid.*

ებიდან, საერთო ისტორიული ბედის განცდიდან მომდინარეობს.

როგორც აკად. ნიკო ბერძენშვილი აღნიშნავს, VIII საუკუნის მიწურულს უცხოელთა [ამ შემთხვევაში ბიზანტიელთა] ბატონობის ლიკვიდატორისა და ქვეყნის პოლიტიკური გამაერთიანებლის როლში გამოვიდა აფხაზთა ერისთავი ლეონ მეორე. იმ დროს ბიზანტიაში დიდი შინაური შფოთი და არევ-დარევა იყო. ამით ისარგებლა ლეონ ერისთავმა, მოირთო ძალა ხაზართა მეფისაგან, რომლის ასულის შვილიც იგი იყო, უკუაგდო ბიზანტიელები, გააერთიანა ეგრის-აფხაზეთი არგვეთითურთ, თავი მეფედ გამოაცხადა და სამეფო ტახტი ქუთაისში გადმოიტანა.

ეს არ იყო არც ძველი ეგრისის სამეფოს აღდგენა და არც აფხაზთა სამეფოს წარმოქმნა, თუმცა მას «აფხაზთა სამეფო» ეწოდებოდა. იმ დროისათვის იმ მხარეში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოძმე ტომთა ეთნიკურ-კულტურული შერწყმა-შეკავშირება ისე შორს იყო წასული და ქართულ ენას ისეთი პოზიციები ეჭირა კულტურის დარგში, რომ ეს ახალი სამეფო მხოლოდ ქართული შეიძლება ყოფილიყო. და მართლაც, ლეონ მეფისა და მისი მემკვიდრეების პოლიტიკა ზოგადქართული იყო. ეს «აფხაზთა მეფეები» ხელს უწყობდნენ თავის სამეფოში ბერძნული ენის ნაცვლად ქართული ენის გაბატონებას სახელმწიფო მმართველობასა თუ საეკლესიო სფეროში. იმავე დროს, აფხაზი მეფეები საქართვლოს პოლიტიკური გაერთიანების ენერგიული მოღვაწენი იყვნენ[1].

აღნიშნული პერიოდის შესახებ უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის X საუკუნის ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის უთვალსაჩინოესი შედევრი - *ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა*, რომელიც ეკუთვნის გორგი მერჩულეს კალამს. მართალია, ეს ძეგლი - *შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა*

[1] ნიკო ბერძენიშვილი, *op. cit.*, გვ. 11-12.

და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდის აღმაშენებლისაჲ, და მისთანა ჴსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ (შემ: *ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა*) დაწერილია გიორგი მერჩულის მიერ 951 წელს, მაგრამ მასში თითქმის კალენდარული სიზუსტითაა ასახული VIII–IX საუკუნეების საქართველოს მდგომარეობა.

როგორც ამას აღნიშნავს ცნობილი მკვლევარი პავლე ინგოროყვა,

> მთავარი ინტერესი გიორგი მერჩულეს ძეგლის ცნობებისა დასავლეთ საქართველოს - «აფხაზეთის» სამეფოს - შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ აქ ვღებულობთ ახალ ჩვენებებს იმ მკვეთრი ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შესახებ, რომლის გამტარებელია დასავლეთ საქართველოს - «აფხაზეთის» - სამეფოს ხელისუფლება დღიდან ამ სამეფოს დაარსებისა[1].

ამ შემთხვევაში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში* დაცულ ერთ ცნობაზე, რომელიც არაერთხელ გამხდარა ქართველ მენიერთა და მკვლევართა ინტერესისა და განსჯის საგანი - ძეგლში დასახელებულია დასავლეთ საქართველოს - აფხაზთა სამეფოს - გეოგრაფიული პუნქტები, სავანეები და მათ შორის - *უბეჲ.*

როგორც ცნობილია, ეს ისტორიული *უბეჲ* აფხაზეთისა, არის თანამედროვე ზემო იმერეთის *უბისი* (პავლე ინგოროყვა[2], ექვთიმე თაყაიშვილი[3], შალვა ამირანაშვილი[4], ვახტანგ ბერიძე[5],

---

[1] პავლე ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე მწერალი მეათე საუკუნისა*, თბილისი, საბჭოთა მწერალი, 1954, გვ. 220.

[2]*Ibid*. გვ. 220.

[3]ექვთიმე თაყაიშვილი (Такайшвили, Е.С.) *Археологические экскурсии, разыскания и заметки*, вып. 4, Москва, «Известий Кавк. отд. Имп. Моск. арх. общ.», 1913, გვ. 176.

[4]შალვა ამირანაშვილი, *უბისი: მასალები ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისთვის*, ტფილისი, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, 1929, გვ. 6, 31-36.

[5]ვახტანგ ბერიძე, *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება*, თბილისი, 1974. გვ. 167.

რენე შმერლინგი[1], ინგა ლორთქიფანიძე[2] და სხვ.), სადაც ამ-ჟამად მდებარეობს ცნობილი წმინდა გიორგის სახელობის ტა-ძარი და სამონასტრო კომპლექსი.

გიორგი მერჩულეს თხზულებაში, რომელიც ერთადერთი, ჩვენს დრომდე გადარჩენილი, ადგილობრივი ქართული ეროვნული ძეგლია, დაცულია მეტად საყურადღებო ცნობები დემეტრე II აფხაზთა მეფის შესახებ. იგი გვაწვდის უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს, თუ რა ღონისძიებები ტარდებოდა უშუალოდ დემეტრე II აფხაზთა მეფის ძალისხმევით ადგილობრივი ეკლესიის ნაციონალიზაციისათვის, მისი გაქართულებისათვის.

გიორგი მერჩულეს ძეგლიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ დემეტ-რე II-ს უშუალო ხელშეწყობით და მონდომებით აფხაზთა სამეფოში არსდებოდა ქართული მონასტრები და სავანეები, რომლებიც ძველი დროიდან იქ დამკვიდრებული ბერძნული გავლენის შესუსტებას და ქართული მწიგნობრობის ტრადი-ციების დაფუძნებას ისახავდნენ მიზნად.

გიორგი მერჩულეს სიტყვით, დემეტრე II იბერია-მესხეთიდან აფხაზთა სამეფოში გადმოსულ პირებს დიდი პატივით ღებუ-ლობდა და «ადგილსა კეთილსა» დაამკვიდრებდა; «საშენებ-ლად» ქართულ სავანეთა «ფრიადსა საფასესა» გაიღებდა.

წყარო გვეუბნება:

> ხოლო პირველთაგან მოყვასთა მათ კეთილთა ნეტარისა გრიგოლი-სათა, თევდორეს და ქრისტეფორეს, აქვნდა გულსა მათსა საღმრთოჲ შური მონასტრისა შენებისაჲ. და არა გამოუცხადეს მამასა გრიგოლს განზრახვაჲ მათი, არამედ ფარულად წარვიდეს აფხაზეთს და თანაც

---

[1] Рене Шмерлинг, *Малые формы в архитектуре средневековой Грузии*,Тбилиси, Изд-во АН Груз. ССР, 1962, გვ. 291; რენე შმერლინგი, «უბისის ტაძრის დათარიღების საკითხისათვის», თბილისი, «საქართველოს სსრ მეცნიე-რებათა აკადემიის მოამბე», 1955, ტ. 16, N 2, გვ. 169-174.

[2]ინგა ლორთქიფანიძე, «უბისი», *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, თბ. 1980, გვ 97; ინგა ლორთქიფანიძე, «უბისი», ჟურნალი *ფრესკა*, 1976, N 8, გვ.16-20.

> ძმანიცა ვინმე წარჰყვეს. ... ხოლო მეფემან აფხაზთა მან დემეტრე, დიდითა პატივითა პატივ სცა და ადგილსა კეთილსა დაამკვიდრნა[1].

მას შემდეგ, რაც გრიგოლ ხანძთელმა გაიგო ძმათა გადასვლა აფხაზეთში, იგი გაჰყვა მათ კვალს. როდესაც მან მიაღწია აფხაზთა მეფის, დემეტრე II კარამდე, შემდეგი სიტყვებით მიმართა მას:

> მეფეო ღმრთის მსახურო და დიდებულო! მოწევნულ არიან წმინდანი მამანი, ძმანი ჩემნი, წინაშე შენსა და აწ არიან სამეუფოსა ამას და მათთვის არს მოსვლაჲ ჩემი აქა. არამედ ბრძანენ ხელმწიფებამან შენმან და მოვიდნენ იგინი ჩვენდა.

ხოლო მეფესა დაუმძიმდა ძიებაჲ მათი და ჰრქვა:

> - არა მოსრულ არიან აქა ეგე ვითარნი მონაზონნი, რომელთასაცა ბრძანებს სიწმინდე შენი.

მაშინ ნეტარი მამაი გრიგოლ სიტყვასა ზედა მეფისასა განრისხნა და ჰრქვა:

> - მეფეო, ნუ შრომასა შემამთხვევ, მომცენ ძმანი ჩემნი, რომელნიცა მოიწიეს შენდა!
>
> და ვითარ ღონეჲ სიტყვისაჲ არღარა აქვნ და მეფესა მართლ მხილებისაგან მის წმინდაჲსა, უბრძანა მოყვანებაჲ ძმათაჲ მათ[2].

შემდეგ დემეტრე მეფე სთავაზობს გრიგოლ ხანძთელს მის საგამგებლოში მიწა-წყალს სამონასტრო ცხოვრების გასაშლელად, მაგრამ გრიგოლ ხანძთელის აზრით, ამ მხარის ბუნება არ გამოდგება ამ საქმისთვის, რადგანაც იგი მშვენიერი და ტურფაა; ხოლო სამონასტრო ცხოვრებას ხორშაკი და უდაბური ადგილები შეეფერება. გრიგოლის ამ სიტყვებზე აფხაზთა მეფე მეტად საინტერესო პასუხს იძლევა - «არა სამართალ არს კეთილთა თქვენთაგან უნაწილობაჲ ამის ქვეყნისაჲ.»

იბადება ლოგიკური კითხვა - რა იყო ის «სამართალი», რომლის უგულვებელყოფაც გრიგოლ ხანძთელისგან არ იქნებოდა

---

[1] გიორგი მერჩულე, *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება*, ქართული მწერლობის საუნჯე, ტ. 2, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011, გვ. 41.
[2] *Ibid.*,გვ. 43.

მართებული და გამოიწვევდა «კეთილთაგან უნაწილობას ამა ქვეყნისას [ანუ აფხაზეთის]?»

პასუხი ერთია - ესაა სწორედ ის დვრიტა, ანუ «სამართლიანობა», რომელიც საერთოეროვნული იდეოლოგიური ერთობიდან იღებს სათავეს, რომელიც საუკუნეთა სიღრმეებიდან, საერთო ისტორიული ბედის განცდიდან მომდინარეობს. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდა აფხაზთა მეფე დემეტრე II «ქართლსა ზედა» (ნიკო ბეძენიშვილი), ანუ საქართველოს გასაძლიერებლად და გასაერთიანებლად, ქართველი ერის ისტორიის წინარე პერიოდებში ედო საფუძველი, რაც კარგად მოეხსენებოდა იმ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ელიტასაც და ზოგადად, ქართულ სამეფო სამთავროების მთელს მოსახლეობასაც.

დემეტრე აფხაზთა მეფის ამ უქცეველი და ეჭვშეუტანელი პასუხის შემდგომ, გიორგი მერჩულე მოგვითხრობს:

> მაშინ მამამან გრიგოლ, სარწმუნოებისაებრ მეფისა აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი *უბეჲ* და ილარიონ ვინმე, იერუსალემით მოსრული, სარწმუნოჲ მოხუცებული დაადგინა მამასახლისად, რამეთუ ხანძთით წარყოლილი იყო თევდორეს და ქრისტეფორესთანა და აქვნდეს მას კეთილნი წიგნნი. და მამამანცა გრიგოლ თვისნი წიგნნი, რომელ აქვნდეს, და-ვე-უტევნია მონასტერსა მას. ხოლო ხელმწიფე იგი [დემეტრე მეორე აფხაზთა მეფე] სიხარულითა აღივსო მონასტრის ამის შენებისათვის და შეწირა საშენებლად მისა ფრიად შესაწირავი და მიანიჭა მამასა გრიგოლს და მოყვასთა მისთა დრამაჲ ათი ათასი და ყოვლითა კეთილითა აღავსნა[1].

თუ კარგად ჩავუკვირდებით, აქ ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ერთობ ფრთხილი, მაგრამ ეფექტური პოლიტიკური გათვლა გრიგოლ ხანძთელისა - იგი აფხაზთა სამეფოს, (რომელიც ჯერ კიდევ ბერძნულენოვანი საეკლესიო გავლენის სივრცედ ითვლებოდა იმ დროს) «ქართლის წილ» მომიჯნავე მხარეში - უბისაში დაარსებულ ქართულენოვან მონასტერში, წინამძღვა-

[1]*Ibid.*,გვ. 44.

რად ადგენს იერუსალიმში, წმინდა მიწაზე მოქმედი ქართული კოლონიის წარმომადგენელს, რათა ბიზანტიას, რომლის ენობრივ-კულტურული სივრციდან გასვლას და ქართულ ენობრივ-კულტურულ სივრცეში გადასვლასაც ლამობდა იმ დროს აფხაზთა მეფე დემეტრე II, ვერ გამოეთქვა რაიმე საწინააღმდეგო დამოკიდებულება; რადგანაც აფხაზთა სამეფოში ახლად დაარსებული მონასტრის წინამძღვარი გახლდათ - «ილარიონ ვინმე, იერუსალემით [ანუ 'წმინდა მოწიდან'] მოსრული.»

სავსებით სამართლიანად აღნიშნავს პავლე ინგოროყვა, რომ «ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, [ამ შემთხვევაში აფხაზთა სამეფოში გატარებული, აფხაზთა მეფეების მიერ] თავიდანვე მიმართულია უცხოეთის, ბიზანტიის გავლენისგან ემანსიპაციისაკენ.» ეს ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, კერძოდ, გამოიხატა იმაში, რომ ბერძნული ენა, ბიზანტიის ხანგრძლივი მფლობელობის შედეგად გაბატონებული დასავლეთ საქართველოში, როგორც მთავარი სახელმწიფო და საეკლესიო ენა, განდევნილი იქნა და ბერძნულის ადგილი მთლიანად დაიჭირა ქართულმა. ქართული ენა გამოცხადებულია ერთადერთ სახელმწიფო ენად, ქართული ენა გაბატონდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპარეზზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ბერძნული ენა განდევნილი იქნა თვით ეკლესიიდანაც; აქაც ბერძნული ქართულმა შეცვალა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რა მონოპოლიური მდგომარეობა ეჭირა ეკლესიას განათლების საქმეში საშუალო საუკუნეთა პირობებში, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა ბერძნული ენის ნაცვლად ქართულის შემოღებას ეკლესიაში.

ეს უდიდესი მნიშვნელობის რეფორმა - შეცვლა ეკლესიაში ბერძნული ენისა ქართულით - შესაძლო გახდა ჩატარებულიყო იმის შედეგად, რომ «აფხაზთა» სამეფოს ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც იერარქიულად დაკავშირებული იყო ბიზანტიის საიმპერიო ეკლესიასთან,

ჩამოაშორა კონსტანტინოპოლს და დაუკავშირა ქართლის (იბერიის) საკათალიკოსოს.

ამრიგად, ხანა «აფხაზთა» სამეფოსი - ეს არის ეპოქა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვებისა დასავლეთ საქართველოში. ამ ქართული პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ IX – X საუკუნეებში, ე.ი. უფრო ადრე, ვიდრე მოხდებოდა საქართველოს გაერთიანება ერთიან სახელმწიფოებრივ ერთეულად, განმტკიცდა ქართველი ხალხის კულტურული ერთიანობა, რაც გახდა წინაპირობა ქართველი ხალხის შემდგომი პოლიტიკური გაერთიანებისათვის[1].

ასეთი დიდი მასშტაბის რეფორმის ჩატარებას, განსაკუთრებით შუა საუკუნეების პირობებში, რელიგიური იდეოლოგიის ხანაში, ბუნებრივია, დიდი სიძნელეები ეღობებოდა. საჭირო ხდებოდა საუკუნეებით დამკვიდრებული და რელიგიური ტრადიციებით განმტკიცებული წესების რღვევა.

უეჭველია აგრეთვე ისიც, რომ ძველი ტრადიციების დაცვის საფარველქვეშ მოქმედებდა ბიზანტიის პოლიტიკური აგენტურა, რომელიც ცდილობდა დაკარგული მდგომარეობის აღდგენას დასავლეთ საქართველოში. უშუალო, ახლო კავშირი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე არსებობდა ადგილობრივ ეკლესიასა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შორის, ცხადია, აადვილებდა ბიზანტიის აგენტურის შენიღბულსა და მოხერხებულ მოქმედებას.

მაგრამ დასავლეთ საქართველოს - აფხაზთა სამეფოს - ხელისუფლება დიდ სიმტკიცეს იჩენს. იგი განუხრელად ატარებს თავის ხაზს.

იმისთვის, რომ გაენელებინათ ძველი ტრადიციების გავლენა და სათავშივე მოესპოთ ბიზანტინოფილური წრეების საქმიანობა, დასავლეთ საქართველოს - აფხაზთა სამეფოს -

[1] პავლე ინგოროყვა, *op. cit.*,გვ. 220.

ხელისუფლება გაბედულად ჩაატარებს შემდეგი ხასიათის რადიკალურ ღონისძიებას: იგი სპობს ძველად არსებულ საეკლესიო ცენტრებს, საეპისკოპოსო კათედრებს და მათ ნაცვლად ახალ ცენტრებს აარსებს - ბიჭვინთაში, ბედიაში, ჭყონდიდში, ქუთაისში, ნიკორწმინდაში, დარანდაში, მოქვში...[1].

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამავე პერიოდში მსგავსი ანტიბიზანტიური განწყობები შეინიშნება, მეზობელ სომხურ სამეფო-სამთავროებშიც, რომლებიც ქართული სამეფო-სამთავროების მსგავსად განიცდიდნენ მძიმე პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ზეწოლას ბიზანტიისაგან; ისინიც მიზანმიმართულ და მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ იმპერიას. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ვანის ტბის მიდამოებში X-XI საუკუნეებში გაძლიერებული ვასპურაკანის არწრუნთა სამეფო[2].

გამომდინარე აქედან, სავსებით ლოგიკურად მიგვაჩნია ისიც, რომ სწორედ ამ სივრეცეში, ე. წ. «ერთმორწმუნე», მაგრამ ეროვნულ-ეკონომიკურ ინტერესთა კუთხით განსხვავებულ პლატფორმებზე მდგომ გაერთიანებათა ჭიდილის ფონზე უნდა შობილიყო ის ერთგვარი სახისმეტყველებითი «პოლიტიკური პლაკატიც» - წმინდა გიორგის მიერ კეისრის განგმირვისა -, რომელზეც სტატიის დასაწყისში უკვე გვქონდა საუბარი.

სწორედ ჭყონდიდის (აფხაზთა სამეფო) და აღთამარის (ვასპურაკანის სამეფო) ტაძრების ბარელიეფებზე ვხვდებით პირველად ამხედრებული წმინდა გიორგის მიერ ანთროპომორფული სახით გამოხატული ბოროტების დალახვრის სცენებს. ამ სიუჟეტმა აფხაზთა სამეფოში, რომელიც შემდგომში ერთიან საქართველოში იქნა მისივე ინიციატივით ინტეგრირებული, განსაკუთრებული სრულყოფა ჰპოვა და «ბოროტებამ», ზოგადად, ბიზატიის იმპერატორის სახე მიიღო. ამიტო-

---

[1] *Ibid.*, გვ. 248-249.

[2] Nina Garsoïan, *Studies on the Formationof Christian Armenia*, *Ashgate Variorum*, USA, Columbia University, 2010, p. 7-27.

მაცაა, რომ ეს სიუჟეტი, მოცემულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში (X-XI ს.ს.), განსაკუთრებული ინტენსივობით სწორედ დას. საქართველოდან მომდინარე იკონოგრაფიაში გვაქვს წარმოდგენილი.

მოგვიანებით, აფხაზთა სამეფომ, რეფორმაციის შედეგად ბიზანტიისგან თავდაღწეულმა, დიოფიზიტურ ქართულ დედა ეკლესიაში ჰპოვა თავშესაფარი; ხოლო, დიოფიზიტურ ბიზანტიისგან გავერანებული, დიოფიზიტურივე არწრუნთა ვასპურაკანის სამეფოს ნაშთები თავად ბიზანტიამ და მონოფიზიტურმა (ირანის იდეური გავლენების ქვეშ მყოფმა) ბაგრატიდ სომეხთა ეჯმიაწინის ეკლესიამ ჩაყლაპა[1].

დასასრულს, გვინდა გავიზიაროთ პავლე ინგოროყვას მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც

> რეფორმაცია დასავლეთ საქართველოს ეკლესიისა, მისი ჩამოშორება კონსტანტინოპოლის პატრიარქატიდან და დაკავშირება მცხეთის საკათალიკოსოსთან, მისი ნაციონალიზაცია და შეცვლა ეკლესიაში ბერძნული ენისა ქართული ენით, მომხდარა მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში და ყოველ შემთხვევაში ეს რეფორმა დასრულებული ყოფილა 845 წლის უწინარეს პერიოდში[2].

ყოველივე ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა უბისის წმინდა გიორგის მონასტრის დაარსების ის ისტორია, რომელსაც მოგვითხრობს გიორგი მერჩულეს მიერ შექმნილი ქართული საისტორიო მწერლობის უშესანიშნავესი ძეგლი.

აქვე დავსძენთ იმასაც, რომ ის დიდი დაპირისპირება, ერთის მხრივ, ქართულ და სომხურ სამეფო-სამთავროებსა და, მეორეს მხრივ, ბიზანტიის იმპერიას შორის, რომელსაც ადგილი ჰქონდა VIII–XI საუკუნეებში, მიზნად ისახავდა პირველთა მიერ წინა აზიასა და კავკასიაში საკუთარი ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფას. პოლიტიკურად გაერთიანებისა და ეკონომიკურად გაძლიერების გზაზე მდგომი ეს ქვეყნები

---

[1] *Ibid.*

[2] პავლე ინგოროყვა, *op. cit.*,გვ. 244.

(ქართული და სომხური სამეფო-სამთავროები) ცდილობდნენ თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინათ აღმოსავლეთ და დასავლეთ ამიერკავკასიის სავაჭრო გზები. ეს კი ჩვენ ცალკე საუბრის თემად მიგვაჩნია.

ბიბლიოგრაფია

ამირანაშვილი, შალვა, *უბისი: მასალები ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისთვის,* ტფილისი, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, 1929, გვ. 6, 31-36.

ბერიძე, ვახტანგ, *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება,* თბილისი, 1974.

ბერძენიშვილი, ნიკო, *საქართველოს ისტორიის საკითხები,* ტ. VI, თბილისი, გამ. მეცნიერება, 1973.

ბუხრაშვილი, პაატა, *წმინდა გიორგი დიდების მხედარი,* ჟურნალ *ამირანის* XXV ნომრის დამატება, თბილისი, 2014.

გაბაშვილი, ვალერიან, «საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში», თბილისი, თსუ შრ. ტ. 121, 1967. გვ. 187-230.

ინგოროყვა, პავლე, *გიორგი მერჩულე მწერალი მეათე საუკუნისა,* თბილისი, საბჭოთა მწერალი,1954.

ლორთქიფანიძე, ინგა, «უბისი», *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,* თბილისი, 1980, გვ 9.

ლორთქიფანიძე, ინგა, «უბისი», ჟურნალი *ფრესკა,* 1976, N 8, გვ.16-20.

მერჩულე, გიორგი, *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება,* ქართული მწერლობის საუნჯე, ტ. 2, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011. გვ. 7-145.

შმერლინგი, რენე, «უბისის ტაძრის დათარიღების საკითხისათვის», თბილისი, «საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე», 1955, ტ. 16, N 2, გვ. 169-174.

Такайшвили, Екатиме, *Археологические экскурсии, разыскания и заметки,* вып. 4, Москва, «Известий Кавк. отд. Имп. Моск. арх. общ.», 1913.

Шмерлинг, Рене, *Малые формы в архитектуре средневековой Грузии*,Тбилиси, Изд-во АН Груз. ССР, 1962.

Garsoïan, Nina, *Studies on the Formation of Christian Armenia, Ashgate Variorum*, USA, Columbia University, 2010.

Teichmann, Frank, *Der Gral im Osten, Motive aus der Geistgeschichte Armeniens und Georgiens*, Stuttgart, Verlag Freies Geistesleben, 1986.

Чубинашвили, Гиорги, *Грузинское чеканное искусство*, Тбилиси, Сабчота сакартвело, 1959.